

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა–ვაკე

ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	5
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	9
5. ამონაგები რეალიზაციიდან	11
6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	11
7. სხვა საოპერაციო შემოსავალი	11
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12
9. კომერციული ხარჯები	12
10. ფინანსური ხარჯი	12
11. კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	12
12. ძირითადი საშუალებები	13
13. სასაქონლო მატერიალური მარაგები	14
14. სავაჭრო მოთხოვნები	14
15. ავანსები და სხვა მიმდინარე მოთხოვნები	14
16. ფული და ფულის ექვივალენტები	14
17. კაპიტალი	15
18. მიღებული სესხები	15
19. საგადასახადო ვალდებულებები	16
20. სავაჭრო ვალდებულებები	16
21. მიღებული ავანსები და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	17
22. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	17
23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	18

მმართველობის ანგარიშგება

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ	20
2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	21
3. სუბიექტის განვითარების გეგმები	22
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	22
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	22
6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები	23
7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	23

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე“-ს მენეჯმენტსა და დამფუძნებლებს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „*პირობითი მოსაზრების საფუძველი*“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგის გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიას არ ჩაუტარებია სასაქონლო-მატერიალური მარაგების ინვენტარიზაცია 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებისა და აქტივების სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებობაში და ფიზიკურ კონდიციაში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს შესაბამისად 2,346 და 2,147 ათას ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

კომპანიამ ვერ მოგვაწოდა საკმარისი და შესაფერისი დოკუმენტაცია ძირითადი საშუალებების ისტორიულ ღირებულებასთან დაკავშირებით. ჩვენ ვერ შევძელით მიგველო მტკიცებულებები ალტერნატიული აუდიტორული პროცედურების ჩატარებით 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ძირითადი საშუალებების ისტორიულ ღირებულებაზე, რომელიც შეადგენს 16,019 ათას ლარს. აღნიშნული პრობლემა არ გამოსწორებულა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ძირითადი საშუალებების ისტორიულ ღირებულებასთან, ცვეთის ხარჯთან და დაგროვილ ცვეთას დაკავშირებით, როგორც მიმდინარე ასევე შესადარისი პერიოდისთვის.

კომპანიას 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ ჩაუტარებია ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია. სააღრიცხვო ჩანაწერებისა და აქტივების სპეციფიკიდან გამომდინარე, მიწა და შენობა-ნაგებობების ჯგუფის გარდა, სხვა ძირითად საშუალებებზე, ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით ძირითადი საშუალებების არსებობაში და ფიზიკურ კონდიციაში. ასეთი ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს შესაბამისად 4,102 და 4,189 ათას ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

ჩვენ გვჯერა, რომ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები არის საკმარისი და სათანადო მოსაზრების გამოსახატად. აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ

სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “*აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*” - ნაწილში. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაზე (მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები), სადაც მოცემულია მენეჯმენტის პოზიცია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებით. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აკუმულირებული ზარალი შეადგენს 1,939 ათას ლარს. ამასთან, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიმდინარე ვალდებულებები (სესხების გარეშე) მიმდინარე აქტივებს აჭარბებს 1,652 ათასი ლარით და კომპანია საჭიროებს ინვესტიციებს საოპერაციო საქმიანობის დასაფინანსებლად. ამავე დროს, კომპანიას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჰქონდა ვადაგადაცილებული კრედიტორული დავალიანება და დარღვეული იყო მიღებულ სესხთან დაკავშირებით არსებული ფინანსური კოვენანტები (დეტალებისთვის იხილეთ მე-18 შენიშვნა).

მომავალში ვალდებულებების გასტუმრება და საქმიანობის შეუფერხებელი წარმართვა არსებითად არის დამოკიდებული დაგეგმილი შედეგების მიღწევაზე. მენეჯმენტს და დამფუძნებლებს სჯერათ, რომ კომპანია გრძელვადიან პერსპექტივაში შეძლებს დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადების გენერირებას, ამისთვის კომპანიას შემუშავებული აქვს გრძელვადიანი განვითარების სტრატეგია და ბიზნეს მოდელი.

ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 20-24 გვერდებზე) მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში,

პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჭვირვაებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების ვერ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგვემოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

9 სექტემბერი, 2022

თბილისი, საქართველო.


დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მიუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)



ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

9 სექტემბერი, 2022

თბილისი, საქართველო.

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები რეალიზაციიდან	5	31,680	25,326
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(24,165)	(18,681)
საერთო მოგება		7,515	6,645
სხვა საოპერაციო შემოსავალი	7	717	1,254
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(2,693)	(2,633)
კომერციული ხარჯები	9	(5,153)	(4,160)
საოპერაციო მოგება		386	1,106
ფინანსური შემოსავალი		-	183
ძირითადი საშუალებების გასვლიდან		(14)	(10)
მიღებული ზარალი			
ფინანსური ხარჯი	10	(987)	(637)
კურსათაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	11	64	(120)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(551)	522
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		(551)	522

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 9 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

ლევან ჩხაიძე
დირექტორი

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მოითითებული

	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები რეალიზაციიდან	5	31,680	25,326
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(24,165)	(18,681)
საერთო მოგება		7,515	6,645
სხვა საოპერაციო შემოსავალი	7	717	1,254
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(2,693)	(2,633)
კომერციული ხარჯები	9	(5,153)	(4,160)
საოპერაციო მოგება		386	1,106
ფინანსური შემოსავალი		-	183
ძირითადი საშუალებების გასვლიდან		(14)	(10)
მიღებული ზარალი			
ფინანსური ხარჯი	10	(987)	(637)
კურსათაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	11	64	(120)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(551)	522
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		(551)	522

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 9 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

ლევან ჩხაიძე
დირექტორი




შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	12	10,664	10,958
არამატერიალური აქტივები		88	108
გრძელვადიანი აქტივებისათვის გადახდილი ავანსი		-	22
სულ გრძელვადიანი აქტივები		10,752	11,088
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	13	2,346	2,147
სავაჭრო მოთხოვნები	14	3,073	2,597
ავანსები და სხვა მიმდინარე მოთხოვნები	15	340	309
ფული და ფულის ექვივალენტები	16	141	133
სულ მიმდინარე აქტივები		5,900	5,186
სულ აქტივები		16,652	16,274
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	17	1,300	1,300
დაუფარავი ზარალი	17	(1,939)	(1,388)
სულ კაპიტალი		(639)	(88)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	18	1,005	7,071
გრძელვადიანი საგადასახადო ვალდებულებები	19	-	586
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,005	7,657
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	18	8,734	2,597
საგადასახადო ვალდებულებები	19	218	383
სავაჭრო ვალდებულებები	20	6,484	5,086
მიღებული ავანსები და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	21	850	639
სულ მიმდინარე ვალდებულებები		16,286	8,705
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		16,652	16,274

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	დაუფარავი ზარალი	სულ
31 დეკემბერი 2019	1,300	(1,910)	(610)
მიმდინარე წლის მოგება	-	522	522
31 დეკემბერი 2020	1,300	(1,388)	(88)
მიმდინარე წლის ზარალი		(551)	(551)
31 დეკემბერი 2021	1,300	(1,939)	(639)

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
წლის სრული მოგება/(ზარალი)	(551)	522
შესწორებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	1,086	902
ფინანსური ხარჯი	987	637
ფინანსური შემოსავალი	-	(184)
საგადასახადო შეღავათი	(469)	-
სახელმწიფოსგან მიღებული გრანტი	(186)	(312)
უიმედო და საეჭვო ვალების რეზერვის ზრდა	140	282
საქონლის გაუფასურება და დანაკლისი	188	528
საკურსო მოგება/(ზარალი)	(64)	120
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები აქტივებსა და ვალდებულებებში მომხდარ ცვლილებებამდე	1,131	2,495
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		
ცვლილებები საქონელში	(387)	(1,146)
ცვლილებები დებიტორულ დავალიანებებში	(631)	(151)
ცვლილებები ავანსებსა და სხვა მიმდინარე მოთხოვნებში	2	197
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:		
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებებში	1,413	(780)
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	(96)	73
ცვლილებები მიღებულ ავანსებსა და სხვა მოკლევადიან ვალდებულებებში	211	378
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები დაბეგვრამდე და პროცენტებამდე	1,643	1,066
გადახდილი პროცენტი	(1,206)	(323)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	437	743
საინვესტიციო აქტივობები		
ძირითადი საშუალების შესყიდვა	(766)	(1,620)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	(6)	(65)
წმინდა ფული გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში	(772)	(1,685)
ფინანსური აქტივობები		
აღებული სესხი	354	849
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	354	849
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)	19	(93)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	133	242
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებში, წმინდა	(11)	(16)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	141	133

1. კორპორატიული ინფორმაცია

ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნდა 2008 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 205264284.

ძირითადი საქმიანობა. კომპანია საქართველოში წარმოადგენს ხორცპროდუქტების მწარმოებელ-სადისტრიბუციო კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობაა ხორცპროდუქტებით საცალო და საბითუმო ვაჭრობა. კომპანია ფლობს ხორცპროდუქტების მწარმოებელ ქარხანას და სასაწყობო მეურნეობას თბილისში. აღნიშნული სავაჭრო ნიშნით ხორცპროდუქტების იწარმოება 1961 წლიდან. ქარხანაში სხვადასხვა სახეობის ხორცპროდუქტები იწარმოება, რომელთა შეძენაც, კომპანიის კუთვნილ საფირმო მაღაზიაში და საქართველოს მამულებით ყველა დიდ სუპერმარკეტში არის შესაძლებელი. შპს „ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე“ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობს 11 საფირმო მაღაზიას. 10 მათგანი მდებარეობს თბილისში, ერთი კი ქობულეთში.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია საქართველო, თბილისი, გლდანის რაიონი, გმირი კურსანტების ქუჩის II შეს. N7.

კომპანიის მეწილეები: დეტალური ინფორმაცია კომპანიის მეწილეების შესახებ მოცემულია მე-17 შენიშვნაში.

საქართველოს ბიზნეს გარემო. კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ათასებამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე, მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომლებიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	აშშ დოლარი	ევრო
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშებს და დეპოზიტებს. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

საპენსიო შენატანები. 2019 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება თავდაპირველად გამოხატულია გარიგების თანხით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. გაუფასურების რეზერვი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური საფუძველი რომ კომპანია ვერ შეძლებს მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **დაუმთავრებელი მშენებლობა.** დაუმთავრებელი მშენებლობის დანახარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების შექმნისა და მშენებლობის ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში შეიყვანება მათი შექმნისთვის და მშენებლობისთვის გამოყენებული: მასალები, შრომის ანაზღაურება; იმ ძირითადი საშუალებების ცვეთა, რომელიც მონაწილეობას ღებულობს მათ შექმნაში და მშენებლობაში და ასევე სხვა სახის ზედნადები ხარჯები. დაუმთავრებელი მშენებლობა მაშინ შედის ექსპლუატაციაში და მაშინ იწყება ცვეთის დარიცხვა, როდესაც იგი მოყვანილია იმ კონდიციაში და მდგომარეობაში, რომ კომპანიას შეუძლია მისი გამოყენება დასახული მიზნისათვის.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	30-50
მანქანა-დანადგარები	2-12
კომპიუტერები და ოფისის აღჭურვილობა	2-7
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-10
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5-10
სხვა	2-10

არამატერიალური აქტივები.

• **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ამორტიზაცია. ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე. არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ბუღალტრული პროგრამა	10
სხვა	10

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილ მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსი გადაფასება და საკურსო სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებული საქონლის/მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას. კომპანია აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

კომპანია ამონაგებში რთავს მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის შესაბამის თანხას. სააგენტო ურთიერთობებში, როდესაც კომპანია რწმუნებულის როლში გამოდის, ამონაგებში უნდა ჩართოს მხოლოდ საკომისიოს სახით მიღებული თანხები. მარწმუნებლის სახელით ამოღებული თანხები საწარმოს ამონაგები არ არის.

- ამონაგები რეალიზაციიდან. კომპანია რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებს აღიარებს მაშინ, როცა ხდება მოცემულ საქონელთან დაკავშირებული კონტროლის მომხმარებლისთვის გადაცემა. კონტროლის გადაცემა ხდება, როცა საქონელი გადაეცემა მომხმარებელს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ინფორმაციის ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის;
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში;
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში.

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში;
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის;
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ.

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების მართებულობა.**

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს აკუმულირებული ზარალი 1,939 ლარის ოდენობით. საქმიანობის დაფინანსების ძირითადი წყაროებია კომპანიის ოპერაციები და ბანკის სესხები.

ამასთან ერთად კომპანიას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჰქონდა ვადადამდგარი კრედიტორული დავალიანება და დარღვეული იყო მიღებულ სესხთან დაკავშირებით არსებული ფინანსური კოვენანტები.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

2021 წლის განმავლობაში, კომპანიამ შეიმუშავა გრძელვადიანი ფინანსური მოდელი, რომელიც მოიცავდა ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, რომელიც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში უზრუნველყოფდა როგორც გრძელვადიანი ასევე მიმდინარე ვალდებულებების მომსახურებას. დამატებით კომპანიამ ბანკისგან მიიღო წერილი იმის შესახებ, რომ კოვენანტების დარღვევა არ გახდებოდა ვალდებულების ვადაზე ადრე მოთხოვნის საფუძველი.

2022 წელს, ფინანსური ანგარიშგების გამოცემაზე, კომპანიის ფინანსური მოდელი და ფაქტიური შედეგები უმეტესწილად თანხვედრაში იყო ერთმანეთთან, თუმცა გაზრდილი ხარჯების გამო, მიუხედავად იმისა, რომ კომპანია ინარჩუნებდა პოზიტიურ EBITDA-ს, მოდელთან მიმართებაში ფიქსირდება ჩამორჩენა.

ამის გათვალისწინებით, კომპანიამ მოახდინა სესხების რესტრუქტურზაცია და 2022 წლის 6 ივნისს აიღო დამატებითი სესხი ბანკისგან და გადაფარა სუბორდინირებული სესხი და დამატებით მიიღო შემდეგი სახის შეღავათები ფინანსური ინსტიტუტისგან:

- საშელავათო პერიოდი კრედიტის ძირითადი თანხის დაფარვაზე 2023 წლის 15 იანვრამდე;
- კრედიტის ძირითადი თანხის და საპროცენტო სარგებლის საბოლოო დაფარვის თარიღი გადავადდა 2032 წლის 15 ივნისამდე.

ამ რეფინანსირების და ბანკის წერილის გათვალისწინებით კომპანია მიიჩნევს, რომ არ მოუწევს სასესო ვალდებულებების დროზე ადრე დაფარვა. კომპანიამ ამ ცვლილების გათვალისწინებით განაახლა გრძელვადიანი ბიზნეს მოდელი, რომლის ფარგლებშიც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში შეძლებს ვალდებულებების სრულად მომსახურებას.

აქედან გამომდინარე, კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გამოყენება მიზანშეწონილია და მომავალში კომპანია შეძლებს საოპერაციო შედეგების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას და ფუნქციონირებას გრძელვადიან პერიოდში.

- **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით დებიტორული დავალიანება დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ასეთი მახასიათებლები შეესაბამება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის, თითოეულ კატეგორიას განსაზღვრული აქვს ამ კატეგორიისთვის სპეციფიური გაუფასურების რეზერვი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, ტექნიკურ მოძველებას და ფიზიკურ ცვეთას. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. კომპანია გეგმავს გადახედოს დადგენილ სასარგებლო მომსახურების ვადებს მას შემდეგ რაც მოხდება ძირითადი საშუალებებისთვის რეალური ღირებულების, როგორც დასაშვები საწყისი ღირებულების დადგენა.

- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდინან.

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

5. ამონაგები რეალიზაციიდან

ამონაგები კატეგორიების მიხედვით:	2021	2020
ხორცპროდუქტები დაფასების გარეშე	18,208	10,401
დაფასებული ხორცპროდუქტები	8,454	13,358
ნახევარფაბრიკატები	272	348
სხვა პროდუქცია	4,746	1,219
სულ ამონაგები რეალიზაციიდან	31,680	25,326

ამონაგები საქმიანობის ტიპების მიხედვით:	2021	2020
საბითუმო ვაჭრობა	25,241	20,659
საცალო ვაჭრობა	6,439	4,667
სულ ამონაგები რეალიზაციიდან	31,680	25,326

კომპანია შემოსავალს აგენერირებს როგორც წარმოებული პროდუქციის დისტრიბუციით და სხვა კორპორატიული გაყიდვებით, ასევე საკუთარი მაღაზიების ქსელის საშუალებით. საკუთარ მაღაზიებში გაყიდვები შეადგენს მთლიანი გაყიდვების 20%-ს (2020 – 18%).

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2021	2020
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(23,977)	(18,154)
საქონლის გაუფასურება, დანაკარგი და დანაკლისი	(188)	(527)
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(24,165)	(18,681)

7. სხვა საოპერაციო შემოსავალი

	2021	2020
ვალის პატიება*	469	-
მიღებული გრანტები**	186	312
მიღებული დაფინანსება***	-	898
სხვა	62	44
სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი	717	1,254

* 2021 წლის 24 აგვისტოს შპს „ხორცპროდუქტების ქარხანა ვაკესა“ და სსიპ „შემოსავლების სამსახურს“ შორის გაფორმებული საგადასახადო შეთანხმების საფუძველზე, კომპანიას პირადი აღრიცხვის ბარათებზე საგადასახადო დავალიანების თანხად განესაზღვრა 279 ლარი და დაევალა დავალიანების გადახდა 2021 წლის 31 დეკემბრამდე. აღნიშნული პირობა წარმოადგენდა ვალის პატიების საფუძველს. კომპანიამ დაფარა სრულად დავალიანება და სხვაობა ბარათებზე აღრიცხულ დავალიანებასა და გადახდილ თანხას შორის აღიარა ვალის პატიებიდან მიღებულ შემოსავლად.

**მიღებული გრანტები წარმოადგენს კოვიდპანდემიის პერიოდში ბიზნესის მხარდაჭერის კუთხით საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების შედეგად ამოქმედებული საკომპენსაციო პაკეტის და შეღავათების შედეგს.

***კომპანიამ 2020 წელს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) პროექტის ფარგლებში მიიღო დაფინანსება. პროექტის მიზანია კომპანიამ წარმოება ევროკავშირის სტანდარტებს დაუახლოვოს და უზრუნველყოს უსაფრთხო და ეკომეგობრული სამუშაო გარემო.

კომპანიის მიერ განხორციელებული ინვესტიციის სრული ღირებულებიდან (1,746 ევრო), საბანკო დაწესებულებებიდან მიღებული ფულადი სახსრები შეადგენდა 1,646 ევროს. პროექტის მიხედვით, სესხის სახით მიღებული თანხის 15 პროცენტი (247 ევრო) მხარდამჭერი გრანტების სახით ანაზღაურდებოდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ, წინასწარ გაწერილი ინდიკატორების დაკმაყოფილების შემდეგ. აღნიშნული თანხის მიღების უფლება კომპანიამ მიიღო 2020 წლის განმავლობაში.

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2021	2020
შრომის ანაზღაურება	(1,615)	(1,434)
ცვეთა და ამორტიზაცია	(253)	(148)
საკონსულტაციო ხარჯი	(240)	(131)
საგადასახადო ხარჯი	(169)	(154)
საპენსიო შენატანის ხარჯი	(90)	(76)
დაცვის ხარჯი	(60)	(39)
მიმდინარე რემონტის ხარჯი	(45)	(27)
დაზღვევის ხარჯი	(30)	(23)
საკომუნიკაციო ხარჯი	(28)	(32)
საბანკო მომსახურების ხარჯი	(67)	(60)
საექვო და უიმედო ვალების (ხარჯი)/ამოტრიალება	140	(282)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(236)	(227)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,693)	(2,633)

9. კომერციული ხარჯები

	2021	2020
შრომის ანაზღაურება	(2,662)	(2,150)
დისტრიბუციის ხარჯი	(950)	(614)
იჯარის ხარჯი	(770)	(642)
ცვეთა და ამორტიზაცია	(289)	(259)
რეკლამის ხარჯი	(195)	(236)
საქონლის შეფუთვის ხარჯი	(84)	(175)
სხვა ხარჯი	(203)	(84)
სულ კომერციული ხარჯები	(5,153)	(4,160)

10. ფინანსური ხარჯი

	2021	2020
საპროცენტო ხარჯები	(985)	(628)
სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები	(2)	(9)
სულ ფინანსური ხარჯი	(987)	(637)

11. კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)

	2021	2020
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(4)	11
ფული და ფულის ექვივალენტები	(11)	(16)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	(18)
სასესხო ვალდებულებები	64	(97)
სულ კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	64	(120)

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

12. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა და შენობა- ნაგებობები	მანქანა დანადგარები	კომპიუტერები და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სხვა ძირითადი საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
31 დეკემბერი 2019	6,480	4,519	260	837	293	1,635	378	14,402
შემოსვლა	573	794	35	79	6	65	93	1,645
გასვლა	-	-	-	(28)	-	-	-	(28)
31 დეკემბერი 2020	7,053	5,313	295	888	299	1,700	471	16,019
შემოსვლა	11	160	21	158	7	388	91	836
გასვლა	-	-	-	(97)	-	-	(38)	(135)
31 დეკემბერი 2021	7,064	5,473	316	949	306	2,088	524	16,720
დაგროვილი ცვეთა								
31 დეკემბერი 2019	(82)	(2,595)	(122)	(385)	(113)	(790)	(100)	(4,187)
ცვეთა	(202)	(302)	(30)	(105)	(33)	(152)	(53)	(877)
გასვლა	-	-	-	3	-	-	-	3
31 დეკემბერი 2020	(284)	(2,897)	(152)	(487)	(146)	(942)	(153)	(5,061)
ცვეთა	(218)	(371)	(37)	(135)	(33)	(199)	(67)	(1,060)
გასვლა	-	-	-	61	-	-	4	65
31 დეკემბერი 2021	(502)	(3,268)	(189)	(561)	(179)	(1,141)	(216)	(6,056)
საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი 2020	6,769	2,416	143	401	153	758	318	10,958
31 დეკემბერი 2021	6,562	2,205	127	388	127	947	308	10,664

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 638 (2020:677) ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები სრულად იყო გაცვეთილი და გამოიყენებოდა კომპანიის საქმიანობაში.

საბანკო ვალდებულებების უზრუნველყოფაში ჩადებულ ძირითად საშუალებებზე ინფორმაცია იხილეთ მე-18 შენიშვნაში.

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე

ფინანსური ინფორმაციის შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

13. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ნედლეული და მასალები	1,188	1,198
სარეალიზაციო მარაგი	927	793
სხვა მარაგი	231	156
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	2,346	2,147

14. სავაჭრო მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო მოთხოვნები	3,771	3,482
სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან	41	5
სავაჭრო მოთხოვნები სულ	3,812	3,487
ანარიცხი უიმედო და საექვო მოთხოვნებზე	(739)	(890)
სავაჭრო მოთხოვნები, ნეტო	3,073	2,597

უიმედო და საექვო მოთხოვნების რეზერვის მოძრაობა:

	2021	2020
ნაშთი წლის დასაწყისში	(890)	(620)
მოგება-(ზარალში) აღიარებული ცვლილება	151	(270)
ნაშთი წლის ბოლოს	(739)	(890)

15. ავანსები და სხვა მიმდინარე მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
გადახდილი ავანსები	342	316
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	47	31
ანარიცხი უიმედო და საექვო მოთხოვნებზე	(49)	(38)
ავანსები და სხვა მიმდინარე მოთხოვნები, ნეტო	340	309

16. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ბანკში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	113	114
სალაროში არსებული ფულადი სახსრები	27	17
ბანკში არსებული ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში	1	2
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	141	133

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე

ფინანსური ინფორმაციის შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

17. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდენობა გაწერილია წესდების მიხედვით და შეადგენს 1,300 ლარს.

დამფუძნებლებს შორის წილობრივი გადანაწილება პერიოდების მიხედვით არის შემდეგი:

მფლობელი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ანდრო გეგენავა	50.00%	25.00%
შპს ჰოლდინგ.ჯი	-	25.00%
სს ვაკე	50.00%	50.00%
	100%	100%

2021 წლის 2 ივლისს შეიცვალა კომპანიის მესაკუთრეთა სტრუქტურა. კერძოდ, შპს „ჰოლდინგ.ჯი“- ს საკუთრებაში არსებული 25% იანი წილის მფლობელი გახდა ანდრო გეგენავა.

სს „ვაკე“- ს საბოლოო მფლობელები არიან ფიზიკური პირები და მათგან არც ერთი არ ფლობს კომპანიაში 50%-ზე მეტ წილს.

18. მიღებული სესხები

მოკლევადიანი სესხები	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	დაფარვის ვადა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სესხი ფინანსური ინსტიტუტისგან	რეფინანსირების განაკვეთს + 4.5%	GEL	2022	7,373	827
სესხი ფინანსური ინსტიტუტისგან	14%	GEL	2022	600	600
დამფუძნებლისგან ნასესხები სახსრები	18%	USD	2022	51	48
დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხი	7%	GEL	2022	126	1,122
იურიდიული პირებიდან მიღებული სესხი	18%	GEL	2022	584	-
მოკლევადიანი სესხები სულ				8,734	2,597

გრძელვადიანი სესხები	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	დაფარვის ვადა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სესხი ფინანსური ინსტიტუტისგან	რეფინანსირების განაკვეთს +წლიური 4.5%	GEL	2025	-	7,071
დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხი	7%	USD	2023	1,005	-
გრძელვადიანი სესხები სულ				1,005	7,071

2020 წლის საანგარიშგებო პერიოდში კომპანიამ სრულად დაფარა სს „თიბისი ბანკი“- სგან აღებული სესხები და სასესხო ხელშეკრულება გააფორმა სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“- სთან. მიღებული სესხები უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით და დატვირთულია იპოთეკით სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“- ს სასარგებლოდ.

მნიშვნელოვანი ფინანსური კოვენანტები წარმოდგენილია ქვემოთ:

კომპანიამ აღებულ სესხებთან დაკავშირებით უნდა დააკმაყოფილოს ფინანსური კოვენანტები, რომლებიც უნდა დაითვალოს ბოლო 12 თვის მონაცემების მიხედვით:

18. მიღებული სესხები (გაგრძელება)

- ვალის მომსახურების დაფარვის კოეფიციენტმა (Debt/EBITDA) არ უნდა შეადგინოს 4-5,5 მეტი 2021 წლიდან;
- ფინანსური კოეფიციენტი AR/Revenue არ უნდა შეადგენდეს 0.1-ზე მეტს;
- ფინანსური ვალის კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტმა (DSCR) არ უნდა შეადგინოს 1.25-ზე ნაკლები.

ვინაიდან, დარღვეული კოვენანტების გამო 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ინსტიტუტს ჰქონდა სესხის სრულად მოთხოვნის უფლება, კომპანიამ მიღებული სესხი სრულად წარადგინა როგორც მიმდინარე ვალდებულება. მენეჯმენტს სჯერა, რომ გამსესხებელი არ მოითხოვს სესხის დაუყოვნებლივ დაბრუნებას და ადრეული გადახდის ვალდებულება არ დაუდგება. დეტალებისთვის იხილეთ მე-4 შენიშვნა.

2022 წლის 6 ივნისს კომპანიამ სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“- სგან დამატებით აიღო ერთი მილიონი ლარის სესხი, რომლის მიზნობრიობასაც წარმოადგენდა კრედიტორული დავალიანების დაფარვა.

კომპანიას დაკავშირებული მხარისგან საბაზრო პირობებით აღებული აქვს სუბორდინირებული სესხი უცხოურ ვალუტაში, რომელიც მიმართული იქნა საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად.

კომპანია მონაწილეობს "აწარმოე საქართველოში" პროგრამის შეღავათიან სასესხო პროგრამაში, სააგენტო უფინანსებს დანადგარების შესაძენად აღებული სესხის საპროცენტო ხარჯის პროცენტს.

19. საგადასახადო ვალდებულებები

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე. შესაბამისად, საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოდგენილია ნეტო თანხით.

კომპანიის საგადასახადო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
რესტრუქტურირებული გადასახადის მიმდინარე ნაწილი	-	330
სხვა მოკლევადიანი გადასახადები	218	53
სულ საგადასახადო ვალდებულებები	218	383

2020 წლის 22 ოქტომბერს დაკმაყოფილდა კომპანიის განცხადება საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების თაობაზე. 2020 წლის 22 ოქტომბრის მდგომარეობით არსებული 1,144 ლარის ოდენობის აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინება გადავადებულ იქნა 2023 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადება უზრუნველყოფილი იყო სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ საბანკო გარანტიით.

2021 წლის 10 აგვისტოს საქართველოს მთავრობის განკარგულებით, შემოსავლების სამსახურმა კომპანიასთან გააფორმა საგადასახადო შეთანხმება, რომლის ფარგლებშიც კომპანიას ჩამოეწერა ვალდებულება 931 ლარის ოდენობით და დაევალა 279 ლარის გადახდა 2021 წლის 31 დეკემბრამდე.

20. სავაჭრო ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო ვალდებულებები ეროვნულ ვალუტაში	6,208	4,885
სავაჭრო ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში	140	197
სავაჭრო ვალდებულებები ეროვნულ ვალუტაში დაკავშირებულ მხარეებთან	136	4
სულ სავაჭრო ვალდებულებები	6,484	5,086

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე

ფინანსური ინფორმაციის შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

21. მიღებული ავანსები და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
გადასახდელი ხელფასები	395	359
საპენსიო ვალდებულებები	388	213
მიღებული ავანსები	39	24
მიღებული ავანსები დაკავშირებული მხარეებისგან	28	43
სულ მიღებული ავანსები და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	850	639

22. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთერთდაკავშირებულნი არიან, თუ იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში. თითოეულ დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობების გათვალისწინებით, ყურადღება მიექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები შემდეგია:

მოთხოვნები დაკავშირებული მხარის მიმართ

კომპანია	კავშირის სახე	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
შპს ფუდსერვისი (406254146)	სხვა დაკავშირებული მხარეები*	12	-
შპს ფუდსერვისი (406286674)	სხვა დაკავშირებული მხარეები*	16	-
შპს კავკასიის იბერია	სხვა დაკავშირებული მხარეები*	11	3
სს სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი - ემპრუპ	სხვა დაკავშირებული მხარეები*	2	2

ვალდებულებები დაკავშირებული მხარის მიმართ

კომპანია	კავშირის სახე	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
შპს ფუდსერვისი	სხვა დაკავშირებული მხარეები*	-	4
სს ფუდმარტი	სხვა დაკავშირებული მხარეები*	164	43

კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები:

რეალიზაცია დაკავშირებულ მხარეზე

კომპანია	კავშირის სახე	2021	2020
სს ფუდმარტი	სხვა დაკავშირებული მხარეები*	2,658	2,057
შპს კავკასიის იბერია	საერთო კონსტროლს დაქვემდებარებული	59	55
სს სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი - ემპრუპ	სხვა დაკავშირებული მხარეები*	87	26

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე

ფინანსური ინფორმაციის შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

22. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

შპს ფუდსერვისი (406286674)	სხვა დაკავშირებული მხარეები*	7	25
შპს ფუდსერვისი (406254146)	სხვა დაკავშირებული მხარეები*	26	-

მიღებული სესხი დაკავშირებული მხარისგან

კომპანია	კავშირის სახე	2021	2020
შპს ფუდსერვისი	სხვა დაკავშირებული მხარეები*	1,131	1,123
ანდრო გეგენავა	მეწილე	51	48

ტრანზაქციები მენეჯმენტთან და დამფუძნებლებთან	2021	2020
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები	314	218

*კომპანიის 50%-იანი წილის მფლობელს ან მის ოჯახის წევრს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა.

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კომპანიამ 2022 წლის აპრილში გახსნა ახალი საფირმო მაღაზია მისამართზე ა. ყაზბეგის 3. წლის ბოლომდე კომპანია გეგმავს დამატებით ორი საფირმო მაღაზიის გახსნას.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიამ სრულად დაფარა დაკავშირებული მხარისგან მიღებული სუბორდინირებული სესხი.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ რეალიზდა კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება ლილოში. მიღებული ფულადი სახსრებით დაიფარა სასესხო ვალდებულებები.

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა–ვაკე

მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე

მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის დირექტორია ლევან ჩხაიძე.

კომპანიის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები: კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ხორცპროდუქტების წარმოება, დისტრიბუცია და საცალო გაყიდვები საფირმო მაღაზიებში. ბრენდის ისტორია იწყება 1961 წელს როდესაც თბილისში გაიხსნა პირველი სოსისების საამქრო.

კომპანიის შემოსავლები ძირითადი მიმართულებების მიხედვით არის შემდეგი:

	2021	წილი
შემოსავალი ქსელური და საუბნო მაღაზიებისთვის საბითუმო მიწოდებიდან	25,241	80%
შემოსავალი პროდუქციის საფირმო მაღაზიებში რეალიზაციიდან	6,439	20%

არსებული პროდუქტები და მომსახურება, ბიზნეს პროცესები და სადისტრიბუციო მეთოდები.

კომპანია მომხმარებელს სთავაზობს ხორცპროდუქტების ფართო არჩევანს. კომპანიას სრულ ასორტიმენტში აქვს 155 დასახელების პროდუქცია. ძირითადი ჯგუფები რისი წარმოებაც ხდება გამოიყურება შემდეგნაირად:

- სოსისები და სარძელები;
- მოხარშული ძეხვი;
- შებოლილი ძეხვი;
- ნედლად შებოლილი ძეხვები და ხორცპროდუქტები;
- შაშხი;
- ზელები და ნახევრადფაბრიკატები.

პროდუქციის წარმოება მიმდინარეობს ცენტრალიზებულად ერთ საამქროში. 2019 წლის აგვისტოში კომპანიამ ექსპლუატაციაში გაუშვა და წარმოება სრულად გადმოიტანა ახალი საწარმოში.

საწარმოო პროცესთან ერთად კომპანია ასევე მართავს დისტრიბუციის ქსელს ქსელური მაღაზიებისა და სხვა მომხმარებლების მომარაგებისთვის და ასევე ფლობს საფირმო მაღაზიების ქსელს, სადაც მომხმარებელს საშუალება აქვს შეიძინოს ყველაზე ფართო ასორტიმენტით წარმოდგენილი კომპანიის პროდუქცია. 2019 წლამდე მენეჯმენტის გადაწყვეტილებით რეგიონებში მომარაგება ხორციელდებოდა სატელიტ სადისტრიბუციო კომპანიებთან თანამშრომლობით, რომლებსაც ჰქონდათ გარკვეულ ტერიტორიაზე პროდუქციის ექსკლუზიური დისტრიბუციის უფლება. შედეგების ანალიზიდან გამომდინარე 2019 წელს შეიცვალა მიდგომა და სავაჭრო წერტილების მომარაგება ხორციელდება საკუთარი ძალებით.

კომპანიამ 2021 წელს გააფართოვა საფირმო მაღაზიების ქსელი და ახალი მაღაზიები გახსნა თბილისში მისამართებზე: ვაშლიჯვარი, მუხრან მაჭავარიანის #28 და წყნეთი: რუსთაველის ქ. #39.

2021 წელს კომპანიის გაყიდვების დიდი ნაწილი მოდიოდა თბილისზე (81%).

ამონაგები კატეგორიების მიხედვით შესაძლოა წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

კატეგორია	2021
ხორცპროდუქტები დაფასოების გარეშე	18,208
დაფასოებული ხორცპროდუქტები	8,454
ნახევარფაბრიკატები	272
სხვა პროდუქცია	4,746
სულ	31,680

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე

მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ (გაგრძელება)

კომპანიის სტრუქტურა.

კომპანიის დირექტორი 2021 წლის 1 იანვრიდან ანგარიშგების მომზადებამდე პერიოდში იყო ლევან ჩხაიძე. კომპანიის დირექტორს ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო და მოქმედებს წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში და წარმოადგენს კომპანიას გარეშე პირებთან ურთიერთობაში.


შპს „ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე“ არ ფლობს ინვესტიციებს სხვა კომპანიებში.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

2021 წლის შემოსავალმა შეადგინა 31,680 ლარი, რაც დაახლოებით 25%-ით მეტია გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

კომპანიის შემოსავლების დინამიკა ბოლო 3 წლის განმავლობაში:



კომპანიის ძირითადი კოეფიციენტები:	2021	2020
სულ შემოსავალი	31,680	25,326
სულ აქტივები	16,652	16,274
დასაქმებულთა საშუალო რიცხვი	217	183
მარჟა	23.72%	26.2%
EBITDA	1,496	2,006
EBITDA %	4.7%	7.9%
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი (Quick ratio)	0.36	0.35
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.6	0.6
მარაგების ბრუნვა (დღე)	35.4	35.9
კრედიტორების ბრუნვა (დღე)	97.93	99.37
დებიტორების ბრუნვა (დღე)	35.4	31.72

შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკე

მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: შპს ხორცპროდუქტების ქარხანა-ვაკის პერსონალის რაოდენობა წლის განმავლობაში მერყეობდა 180 დან 250-მდე. კომპანიას აქვს თავისი დასაქმების პოლიტიკა, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება და შეფასება.

კომპანიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პრიორიტეტულია კვალიფიციური კადრების მოძიება, შენარჩუნება და მუდმივი ზრუნვა მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ასევე არანაკლებ პრიორიტეტულია დარგში არსებული სიახლეების შესაბამისად პერსონალის გადამზადება და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების მოძიება.

კომპანიისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წარმოების პროცესში უსაფრთხოების ნორმების დაცვა და სტანდარტების შესაბამისი პროდუქციის წარმოება. ამისთვის როგორც ზემოთ აღნიშნა კომპანიაში ინერგება ხარისხის კონტროლის სტანდარტი. კომპანიის მენეჯმენტი არანაკლებ ყურადღებას უთმობს თანამშრომელთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხს. ამ მიზნით, საწარმოო პროცესი ყოველთვის მიმდინარეობს უსაფრთხოების უმაღლესი სტანდარტების და ნორმების შესაბამისად.

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: კომპანია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და არ ხდება დამატებით რომელიმე სახელმწიფო უწყების რეგულირების სფეროში.

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

კომპანია მუდამ ფიქრობს განვითარებაზე და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაზე. კომპანიის გეგმებშია ქსელის მოდერნიზაცია და მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვა. აღნიშნული მიზნით კომპანიამ მიიღო დაფინანსება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან 2020 წელს.

კომპანიის სამომავლო გეგმებში ძირითადი მიმართულებებია:

ახალი მომხმარებლების მოზიდვა

კომპანია მუდმივად ცდილობს გააუმჯობესოს მომსახურების ხარისხი და შესთავაზოს ხელსაყრელი კომერციული პირობები არსებულ და პოტენციურ მომხმარებლებს, რათა მოხდეს ახალი კომპანიების მოზიდვა და შესაბამისად რეალიზაციის მოცულობის ზრდა.

ახალი ლოკაციების დამატება

კომპანიის გეგმებში შედის ახალი საფირმო მაღაზიების გახსნა და ქსელის გაფართოება როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში.

ახალი პროდუქციის დამატება

კომპანია მუდმივად მუშაობს ახალი ასორტიმენტის შექმნაზე და მომხმარებლისათვის მრავალფეროვანი პროდუქციის შეთავაზებაზე. აღნიშნული მიმართულებით კომპანიაში აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2021 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2021 წელს არ მოხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

წლიდან წლამდე დამდგარი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

ფინანსური ანგარიშგების არე	2021	2020	გადახრის ახსნა
ამონაგები რეალიზაციიდან	31,680	25,326	შენიშვნა 1
კომერციული ხარჯი	(5,153)	(4,160)	შენიშვნა 2
სავაჭრო ვალდებულებები	6,484	5,086	შენიშვნა 3

შენიშვნა #1: 2020 - მცირე რეალიზაცია იყო პანდემიით გამოწვეული.

შენიშვნა #2: რეალიზაციის ზრდასთან ერთად გაიზარდა კომერციული ხარჯები, ასევე შეიცვალა კომერციული პირობები კლიენტებთან.

შენიშვნა #3: რეალიზაციის ზრდამ გამოიწვია ვალდებულებების ზრდაც, მომწოდებლებთან ძირითადად არის კონსიგნაციით გადახდის პირობა.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:

კომპანია ძირითადად საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები	2021	2020
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3 688.6	3 728.6
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	18.7	15.9
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	5,015	4,275
მშპ-ის რეალური ზრდა, %	10.4%	(6.2%)
საშუალო წლიური ინფლაცია	12.8%	5.2%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	1 152.8	616.9
უმუშევრობის დონე, %	20.6%	18.5%

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საქონლის კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. კომპანიის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე, თუმცა არსებითად არის დამოკიდებული FMCG ბაზრის მსხვილ მოთამაშეებზე. ბიზნესის რენტაბელობა რა თქმა უნდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სტაბილურ სავალუტო კურსზე და ეკონომიკურ გარემოზე რაც მნიშვნელოვანი ფაქტორებია კომპანიის არსებული კლიენტებისთვის.

კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს როგორც კრედიტით გაყიდვებს ასევე საავანსო გადახდებს. შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და კომპანიის შესაბამის პოლიტიკაზე. კომპანიაში მოქმედი პრაქტიკით და სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტებით შეთანხმებულია საკრედიტო ლიმიტების დაშვების და მართვის პოლიტიკა, რამაც უნდა უზრუნველყოს რისკების მართვა მისაღებ დონემდე ისე რომ შენარჩუნებული იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და კომპანია დაცული იყოს არაბელსაყრელი ეფექტისგან რისკების

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

არაგონივრული კონცენტრირებულობა. საკრედიტო რისკი არ წარმოიშობება საფირმო მაღაზიებში რეალიზაციის შედეგად რადგან ანგარიშსწორება როგორც წესი ხდება სალაროსთან პროდუქციის შეძენისთანავე.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ფულისა და ფულადი ექვივალენტების მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ძირითადი ნაწილი აქვს ლარში, შესაბამისად მენეჯმენტი არ განიხილავს სავალუტო რისკს მნიშვნელოვან რისკად ბიზნესისათვის.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ადგილობრივი ბანკიდან აღებული სესხი პირდაპირ არის დამოკიდებული ბანკთაშორის რეფინანსირების განაკვეთზე და შესაბამისად კომპანიას წარმოეშობა საპროცენტო განაკვეთის რისკი. 2021 წლის 31 დეკემბერს არსებული სესხის ნაშთის გათვალისწინებით განაკვეთის 0.5%-იან ცვლილებას საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკი არ წარმოადგენს კომპანიისთვის მნიშვნელოვან რისკ ფაქტორს.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 9 სექტემბერს.

ლევან ჩხაიძე
დირექტორი

შპს ხორგპროდუქტების ქარხანა-ვაკე

მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

არაგონივრული კონცენტრირებით. საკრედიტო რისკი არ წარმოიშევა საფირმო მაღაზიებში რეალიზაციის შედეგად რადგან ანგარიშსწორება როგორც წესი ხდება სალაროსთან პროდუქციის შეძენისთანავე.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა. ოპერაციებიდან საკმარისი ფულისა და ფულადი ექვივალენტების მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ძირითადი ნაწილი აქვს ლარში. შესაბამისად მენეჯმენტი არ განიხილავს სავალუტო რისკს მნიშვნელოვან რისკად ბიზნესისათვის.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ადგილობრივი ბანკიდან აღებული სესხი პირდაპირ არის დამოკიდებული ბანკთაშორის რეფინანსირების განაკვეთზე და შესაბამისად კომპანიას წარმოეშევა საპროცენტო განაკვეთის რისკი. 2021 წლის 31 დეკემბრის არსებული სესხის ნაშთის გათვალისწინებით განაკვეთის 0.5%-იან ცვლილებას საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკი არ წარმოადგენს კომპანიისთვის მნიშვნელოვან რისკ ფაქტორს.

მმართველობის ანგარიშგება დასრულებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 9 სექტემბერს.


ლევან ჩხაიძე
დირექტორი

